

შპს „ბიოლოგიკა“

ქ. რუსთავში სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების
(სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტის
ექსპლუატაციის

სკრინინგის ანგარიში
(დამუშავების ოპერაციის კოდი D9)

სარჩევი

1	შესავალი.....	3
2	საქმიანობის და მისი განხორციელების ტერიტორიის აღწერა.....	4
2.1	საქმიანობის ზოგადი აღწერა.....	4
2.2	ობიექტის განთავსების ტერიტორიის აღწერა.....	5
2.3	ავტოკლავირების პროცესის აღწერა.....	11
2.4	საწარმოში შემოტანილი ნარჩენების სახეობები და რაოდენობა	12
2.5	ნარჩენების სტერილიზაციის მონიტორინგი	12
2.6	ავტოკლავირების პროცესიდან მოსალოდნელი ემისიების აღწერა.....	13
3	გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შედარებითი ანალიზი	15
4	მოკლე რეზიუმე	18

1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქ. რუსთავის საწარმოო ზონაში, მარის არხის III დასახლებაში, შპს „ბიოლოგიკა“-ს სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტის ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს.

აღსანიშნავია, რომ საწარმომ, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე, ამავე საქმიანობასთან დაკავშირებით, 2020 წელს, დადგენილი წესით გაიარა სკრინინგის პროცედურა და შპს „ბიოლოგიკას“ საქმიანობა, „ქ. რუსთავში შპს „ბიოლოგიკას“ სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებაზე (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ივლისის N2-645 ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ზემოაღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს „ბიოლოგიკამ“ უკვე მოაწყო სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტი და აწარმოებს მის ექსპლუატაციას.

დღეისათვის ობიექტი მუშაობს წელიწადში 240 დღის და დღეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. მიმდინარე ეპიდემიის პირობებში, სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან, შპს „ბიოლოგიკას“ მომსახურებაზე მოთხოვნა იზრდება და მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭიროა სამუშაო დღეების და სამუშაო საათების რაოდენობის გაზრდა, კერძოდ 8 საათიანი სამუშაო რეჟიმიდან 24 საათიანი სამუშაო რეჟიმზე გადასვლა და წლის განმავლობაში, სამუშაო დღეების 240 სამუშაო დღიდან 330 სამუშაო დღემდე გაზრდა. სამუშაო საათების და სამუშაო დღეების რაოდენობის გაზრდა, შპს „ბიოლოგიკას“ საშუალებას მისცემს მოემსახუროს უფრო მეტ სამედიცინო დაწესებულებას, რაც თავის მხრივ შეამცირებს ინფექციური ნარჩენების გარემოში მოხვედრის რისკებს.

ობიექტის განთავსების ტერიტორია წარმოადგენს სამრეწველო ზონას, სადაც მდებარეობდა არსებული შენობა-ნაგებობები, რომელშიც მოეწყო საწარმო. ობიექტის განთავსების ტერიტორიის საკადასტრო კოდია: 02.07.03.011. აღნიშნული ტერიტორია, შპს „ბიოლოგიკას“ იჯარით აქვს აღებული.

2020 წლის სკრინინგის ანგარიშში იყო მოცემული და წინამდებარე ანგარიშშიც უნდა აღინიშნოს, რომ „ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის N294 დადგენილების შესაბამისად, სამედიცინო ნარჩენები იყოფა „სარისკო“ და „არა სარისკო“ კატეგორიებად. სარისკო ნარჩენებს მიეკუთვნება: ინფექციური ნარჩენები; მაღალი რისკის ინფექციური ნარჩენები; ბასრი საგნები; პათოლოგიურ-ანატომიური ნარჩენები; ფარმაცევტული ნარჩენები; ციტოტოქსიკური ნარჩენები და ქიმიური ნარჩენები. ამასთან, „სარისკო“ სამედიცინო ნარჩენები შესაძლებელია იყოს სახიფათო და არასახიფათო.

შპს „ბიოლოგიკა“-ს საქმიანობა ითვალისწინებს, სახიფათო სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირებას.

ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, ავტოკლავირებას ექვემდებარება მხოლოდ ინფექციური და მაღალი რისკის ინფექციური ნარჩენები. ამასთან, ნარჩენების ავტოკლავირება შესაძლებელია განხორციელდეს მათი წარმოქმნის ადგილზევე.

„ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის N294 დადგენილების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული შენიშვნის თანახმად, „სამედიცინო დაწესებულების მიერ განხორციელებული აღნიშნული საქმიანობა (ავტოკლავირება/ქიმიური

დეზინფექცია/სტერილიზაცია) არ განიხილება როგორც გარემოზე ზემოქმედების ნებართვას და ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობა”.

იქიდან გამომდინარე, რომ შპს „ბიოლოგიკა“ არ წარმოადგენს “სამედიცინო დაწესებულებას”, მის მიერ განხორციელებული, აბსოლუტურად ანალოგიური პროცესი, კერძოდ, ინფექციური და მაღალი რისკის ინფექციური ნარჩენების ავტოკლავირება, განხილული იქნა „სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებად” და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის 10.4 ქვეპუნქტის თანახმად, დაექვემდებარა სკრინინგის პროცედურას.

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 1.1-ში.

ცხრილი 1.1. საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია	შპს „ბიოლოგიკა“
კომპანიის იურიდიული მისამართი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატახატარი
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. რუსთავი, მარის არხის III დასახლება
საქმიანობის სახე	სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტის ექსპლუატაცია.
შპს „ბიოლოგიკა“-ს საკონტაქტო მონაცემები:	
საიდენტიფიკაციო კოდი	436031697
ელექტრონული ფოსტა	g.kvesitadze@imobiliari.ge
საკონტაქტო პირი	გიორგი კვესიტაძე
საკონტაქტო ტელეფონი	599 45 99 41

2 საქმიანობის და მისი განხორციელების ტერიტორიის აღწერა

2.1 საქმიანობის ზოგადი აღწერა

როგორც 2020 წლის სკრინინგის ანგარიშშიც იყო მოცემული, ავტოკლავირება არის მაღალი ტეპერატურის და წნევის პირობებში, წყლის ორთქლით სტერილიზაციის მეთოდი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა საქმიანობებში, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებებში, როგორც სამედიცინო მასალების და ჭურჭლის სტერილიზაციისთვის, ასევე, წარმოქმნილი ინფექციური ნარჩენების გაუვნებლებისთვის.

სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება უზრუნველყოფს ნარჩენებში არსებული: პათოგენური მიკროორგანიზმების; ვირუსების; სოკოების; პარაზიტების და სხვა ცოცხალი ორგანიზმების განადგურებას, რის გამოც, ავტოკლავში დამუშავებული ნარჩენები აღარ შეიცავს ცოცხალ ორგანიზმებს და მათთან მომუშავე ადამიანებისთვის, დაინფიცირების თვალსაზრისით, უსაფრთხოა.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სამედიცინო ნარჩენები იყოფა „სარისკო” და „არა სარისკო” კატეგორიებად. ნარჩენების „სარისკო” კატეგორიებიდან აღსანიშნავია ინფექციური და მაღალი რისკის ინფექციური ნარჩენები, რომელთა დამუშავებისთვის ყველაზე ეფექტური მეთოდია მათი ავტოკლავირება და ინსინერაცია. „სარისკო” ნარჩენების ავტოკლავირება შესაძლებელია განხორციელდეს მათი წარმოშობის ადგილზეც (სამედიცინო დაწესებულებებში).

სამედიცინო დაწესებულებების ნაწილი, ვერ ახორციელებს წარმოქმნილი ნარჩენების ავტოკლავირებას და ინფექციური და მაღალი რისკის ინფექციური ნარჩენები, სტერილიზაციის გარეშე გადის ინსინერაციას. თავად ინსინერაციის პროცესი სრულად აუვნებლებს სახიფათო

სამედიცინო ნარჩენებს, მაგრამ, ასეთი ტიპის ნარჩენებმა, სტერილიზაციის გარეშე, შესაძლებელია დაავადების რისკი შეუქმნას ნარჩენებთან მომუშავე ადამიანებს.

დღესდღეობით მსოფლიოში მიმდინარე პანდემიის გათვალისწინებით, შპს „ბიოლოგიკამ“ „ქ. რუსთავში შპს „ბიოლოგიკას“ სახიფათო ნარჩენების წინასწარ დამუშავებაზე (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 ივლისის N2-645 ბრძანების საფუძველზე, მოაწყო საწარმო, სადაც მიმდინარეობს სამედიცინო დაწესებულებაში წარმოქმნილი „სარისკო“ ნარჩენების სტერილიზაცია, ავტოკლავირების მეთოდით, რაც ითვალისწინებს, ნარჩენებში არსებული სახიფათო ორგანიზმების, მაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში, გახურებული წყლის ორთქლით გაუვნებლებას.

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, საქმიანობა და განხორციელების მეთოდი, არ განსხვავდება ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებებში მიმდინარე ავტოკლავირების მეთოდისგან, თუმცა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამედიცინო დაწესებულების მიერ, სახიფათო ნარჩენების ავტოკლავირება ან/და ქიმიური დეზინფექცია ან/და სტერილიზაცია არ განიხილება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ საქმიანობად. საქმიანობა არ ხასიათდება ატმოსფერულ ჰაერში ემისიების და ხმაურის გავრცელებით და არ წარმოქმნის დამატებით ნარჩენებს.

შპს „ბიოლოგიკას“ ობიექტზე, სახიფათო ნარჩენების შემოტანა მიმდინარეობს ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირებაზე შესაბამისი უფლების მქონე კონტრაქტორი პირისგან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. დანართი 1) და მომავალში ასევე განხორციელდება შპს „ბიოლოგიკას“ მიერ, შესაბამისი რეგისტრაციის საფუძველზე.

2.2 ობიექტის განთავსების ტერიტორიის აღწერა

საწარმოს ტერიტორია მდებარეობს ქ. რუსთავში, მარის არხის III დასახლებაში (ს. კ. 02.07.03.011). ტერიტორია წარმოადგენს სამრეწველო ზონას და მთლიანად ანთროპოგენიზებულია. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია არსებული შენობა-ნაგებობები და აღნიშნულ ნაგებობებში განთავსდა შპს „ბიოლოგიკას“ საწარმო.

ავტოკლავი მოწყობილია არსებული შენობა-ნაგებობის ერთ-ერთ ოთახში, რომლის ფართობია 70 მ² (სიგრძე- 11,7 მ; სიგანე - 5,95 მ). ობიექტის ტერიტორია უზრუნველყოფილია მისასვლელი გზით, ელ. ენერჯით და სასმელი წყლით. ტერიტორიის სიტუაციური რუკა მოცემული 2.2.1 ნახაზზე, ხოლო საწარმოს ეზოს ფოტო - 2.2.1. სურათზე.

სურათი 2.2.1. ობიექტის ტერიტორიის ფოტო



ნახაზი 2.2.1. ობიექტის განთავსების სიტუაციური სქემა



საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი, სოფ. თაზაქენდი მდებარეობს 240 მ მანძილზე, ხოლო მარის არხი გაედინება საწარმოდან დაახლოებით 230 მეტრის მოშორებით, სოფ. თაზაქენდის გასწვრივ.

საწარმოს ტერიტორიასა და მარის არხს შორის წარმოდგენილია საწარმოო შენობა-ნაგებობები, საავტომობილო გზა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები. საწარმოს ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი (არც საწარმოს მოწყობის ეტაპზე არ იყო), რადგან ტერიტორია ძლიერი ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშაა. ტერიტორიაზე არ გვხვდება რაიმე განსაკუთრებული სტატუსის მქონე ხე-მცენარეები.

საწარმოს ტერიტორიის ეზოში, ჩამდინარე წყლების შეგროვების მიზნით (რომელიც წარმოიქმნება ავტოკლავის განთავსები ოთახის და შემოტანილი ნარჩენების კონტეინერების სველი წესით დამუშავების შემდეგ (მორეცხვა)), მოწყობილია დაახლოებით 1,5 მ³ ტევადობის ჰერმეტიული ჭა. (იხ. სურათი 2.2.2.), ხოლო საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლების შესაგროვებლად ცალკე, ეზოს ტერიტორიაზე მოწყობილია ასევე ჰერმეტიული, დაახლოებით 6 კუბ.მ ტევადობის საასენიზაციო ორმო, რომლის განტვირთვა ხდება საასენიზაციო მანქანის საშუალებით.

ავტოკლავისთვის შერჩეული ოთახის კედლები 1,8 მ სიმაღლეზე (საწარმოო სიმაღლე) მოპირკეთებულია ჰიდროფობული მასალით და აღჭურვილია საკანალიზაციო წლების შეგროვების სისტემით, რომელიც მიერთებულია ეზოში არსებულ ჰერმეტიულ ჭასთან. შენობის ჭერი წარმოადგენს ბეტონის კონსტრუქციას.

სურათი 2.2.2. საპროექტო ტერიტორიის ეზოში არსებული ჰერმეტიული ჭა




სურათი 2.2.3. საწარმოში განთავსებული ავტოკლავი



საწარმოო ტერიტორიის უჯრედში უკვე დამონტაჟებულია ავტოკლავის დანადგარი (იხ სურათი 2.3.1.) და მისი სხვა დამხმარე მოწყობილობები. ავტოკლავირების ობიექტის და არსებული შენობა-ნაგებობის გეგმა წარმოდგენილია 2.2.1. ნახაზზე.

ობიექტზე, ავტოკლავირების მიზნით შემოტანილი ნარჩენების და ავტოკლავში დამუშავებული ნარჩენების დროებით განთავსება ხდება ამავე შენობაში არსებულ, მე-2 ოთახში (იხ. ნახაზი 2.2.1.). ოთახი წარმოადგენს წყალგაუმტარი ბეტონით მოპირკეთებულ ნაგებობას, რომელიც გადახურულია რკინა-ბეტონის სახურავით.

ნახაზი 2.2.1. არსებული შენობა-ნაგებობის გეგმა



2.3 ავტოკლავირების პროცესის აღწერა

ობიექტზე ავტოკლავირება ხორციელდება 2020 წლის სკრინინგის ანგარიშში აღწერილი ავტოკლავისა და ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად, კერძოდ, ობიექტზე ავტოკლავირება ხორციელდება სპეციალურ, ჰერმეტიკულ დანადგარში, რომელსაც „ავტოკლავი“ ეწოდება. ცნობილია: მბრუნავი, რხევითი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური და კალონისებური.

ობიექტზე განთავსებულია ჰორიზონტალური ავტოკლავი, რომლის მთლიანი მოცულობა შეადგენს 6 500 ლ-ს, ხოლო სამუშაო მოცულობა - 5 500 ლ-ს. ავტოკლავი აჭრურვილია ჰერმეტიკული სარქველით, ნარჩენების ჩასატვირთი უქანგავი მეტალის ყუთისმაგვარი ბადეებით, ორთქლის მისაწოდებელი მილით, ავტოკლავში ტემპერატურისა და წნევის მარეგულირებელი საკონტროლო-გამზომი მოწყობილობით.

ავტოკლავში ნარჩენების ჩატვირთვა ხდება ხელით, შეფუთვების გაუხსნელად, კერძოდ: შემოტანილი ნარჩენების პარკები ჩაიდება ავტოკლავირებისათვის განკუთვნილ სპეციალურ თერმომედეგ პოლიეთილენის პარკებში, ჩაიტვირთება ყუთისმაგვარ ბადეებში და განთავსდება ავტოკლავში. ჩასატვირთი ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატება 0,5 ტ, ხოლო გაცხელებისა და სტერილიზაციის ხანგრძლიობა დამოკიდებულია სამედიცინო ნარჩენების სახეობაზე. ნარჩენების სახეობის გათვალისწინებით, ავტოკლავში მათი გაცხელების პროცესი შესაძლებელია გაგრძელდეს 1-3 საათამდე, ხოლო გაცხელების შემდეგ, სტერილიზაციის პროცესი მიმდინარეობს 30 წთ-დან 3 სთ-მდე.

ობიექტის ოპერირების 8 სთ რეჟიმიდან 24 სთ რეჟიმზე გადასვლის შემთხვევაში, დღის განმავლობაში შესაძლებელია იქნება 8-10 ტონა ნარჩენის გაუვნებლება.

ავტოკლავში დამუშავების შემდეგ, სტერილური ნარჩენი, რომელიც „ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის N294 დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად განიხილება არასახიფათო ნარჩენად, განთავსდება მათთვის განკუთვნილ ოთახში, არაუმეტეს 48 საათისა და ობიექტიდან გატანილი იქნება არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე, იმავე კომპანიის მიერ, ვისგანაც იქნა მიღებული ნარჩენი ან შპს „ბიოლოგიკას მიერ.

ავტოკლავში ნარჩენების სტერილიზაცია მიმდინარეობს წყლის ორთქლით, რისთვისაც გამოყენებულია გამოხდილი წყალი. ავტოკლავს წყლის ორთქლი მიეწოდება საქვაბე დანადგარიდან. საქვაბე დანადგარი წარმოადგენს დახურ ჭურჭელს, რომელშიც გამოხდილი წყლის ასადუღებლად (ორთქლად გადაქცევა) გამოყენებული ელექტრო ენერჯიაზე მომუშავე დახურული სპირალები, ე. წ. „ტენები“.

შერჩეულ ავტოკლავში მიმდინარე სტერილიზაციის პროცესი წარმოდგენს ინოვაციურ ტექნოლოგიას. ტექნოლოგიური სიახლე მდგომარეობს ავტოკლავის შიდა სივრცეში გახურებული ორთქლის მიწოდების მეთოდში, რა დროსაც, უზრუნველყოფილია გასანეიტრალებლად ჩატვირთულ ნარჩენებში, გახურებული ორთქლის მაქსიმალური შეღწევადობა. ავტოკლავში, გახურებული წყლის ორთქლის მიწოდება ხორციელდება რამდენიმე წერტილიდან და ეს წერტილები განთავსებული ისე, რომ ნარჩენების დამუშავება გარანტირებულია ყველა მხრიდან.

სხვა აპარატებისგან განსხვავებით, საწარმოში განთავსებულ ავტოკლავში, აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია საფეხურებრივი სტერილიზაცია.

ორთქლის საქვაბე დანადგარი და თავად ავტოკლავი, აღჭურვილია ყველა მარეგულირებელი მოწყობილობებით, რომლითაც შესაძლებელია ორთქლის ნაკადის, წყლის, წნევის და ტემპერატურის რეგულირება. ასევე, უზრუნველყოფილები არიან დამცავი სარქველებით და უკუსარქველებით, რაც გაუმართაობის შემთხვევაში (ავარია), პროცესების უსაფრთხოდ შეწყვეტის საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება ავტოკლავში მბრუნავ გახურებულ ორთქლს, მისი ავტოკლავიდან გამოყვანა ხდება გამომავალი მილით. გამომავალი ორთქლი, სპეციალურ დანადგარში გავლის შემდეგ კონდენსირდება წყლად და კონდენსირებული წყალი, გამოხდის შემდეგ ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

ავტოკლავში ნარჩენების დამუშავება ხორციელდება 125 °C ტემპერატურისა და 3-5 ატმ. წნევის პირობებში. ავტოკლავის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია 2.3.1. ცხრილში.

ცხრილი 2.3.1. ავტოკლავის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები.

N	ტექნიკური მახასიათებელი	მოცულობა/რაოდენობა	განზომილების ერთეული
1	საერთო მოცულობა	6500	ლ
2	სამუშაო მოცულობა	5500	ლ
3	ჩასატვირთი მასალა	>0,5	ტ
4	სტერილიზაციის ციკლი	0.5-3.0	სთ
5	გაცხელების პროცესი	1-3	სთ
6	სამუშაო წნევა	3-5	ატმ
7	სამუშაო ტემპერატურა	125	°C

ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური სქემა და ავტოკლავი (პარამეტრების ჩათვლით) იდენტურია 2020 წლის სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემისა და ავტოკლავისა. სკრინინგის პროცედურის ხელმეორედ გავლის საჭიროება, განპირობებულია არა ტექნოლოგიური პროცესის ან ტექნოლოგიური დანადგარების ცვლილებით, არამედ, სამუშაო საათების და სამუშაო დღეების რაოდენობის გაზრდით.

2.4 საწარმოში შემოტანილი ნარჩენების სახეობები და რაოდენობა

საწარმოში შემოტანილი იქნება შემდეგი სახეობის ნარჩენები: 18 01 01 - მჭრელი საგნები (გარდა 18 01 03); 18 01 03* - ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით; 18 01 10* - სტომატოლოგიური მომსახურების შერეული ნარჩენები; 18 02 01 - მჭრელი საგნები (გარდა 18 02 02); 18 02 02* - ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით.

ზემოაღნიშნული ნარჩენები „ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის N294 დადგენილების მე-10 მუხლი მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად განეკუთვნება ნარჩენების II და III ნაკადებს.

8 საათიანი სამუშაო რეჟიმიდან 24 საათიან სამუშაო რეჟიმზე გადასვლის და წლის განმავლობაში, სამუშაო დღეების 240 სამუშაო დღიდან 330 სამუშაო დღემდე გაზრდის შემთხვევაში, საწარმოს წამადობის გათვალისწინებით, დღის განმავლობაში შესაძლებელი იქნება 8-10 ტონა ნარჩენის გაუვნებლება. ხოლო წლის განმავლობაში მაქსიმალური რაოდენობა იქნება:

$$330 \text{ დღე/წელ} \times 10 \text{ ტ/დღ} = 3300 \text{ ტ/წელ}$$

ავტოკლავირების შემდეგ მიიღება ამავე რაოდენობის არაინფექციური ნარჩენი, რომელიც გახილება არასახიფათო ნარჩენად.

2.5 ნარჩენების სტერილიზაციის მონიტორინგი

როგორც ცნობილია, სამედიცინო ნარჩენების მე-2 და მე-3 ნაკადი შესაძლებელია შეიცავდეს პათოგენური მიკროორგანიზმებს, ვირუსებს, სოკოებს, პარაზიტებს და სხვა ცოცხალი ორგანიზმებს, რაც ხდება დაავადების გავრცელების მიზეზი. არ არის ცნობილი ისეთი მიკრო

ორგანიზმი, რომელიც არ ნადგურდება 125 °C ტემპერატურისა და 3-5 ატმ. წნევის პირობებში, ამიტომ, „ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის N294 დადგენილება, არ ითვალისწინებს ავტოკლავირებული ნარჩენების კონტროლს. ამავე დადგენილებით (ზემოაღნიშნული დადგენილების მე-10 მუხლის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი), ნაგავსაყრელზე განთავსებამდე, კონტროლის განხორციელება საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების დეზინფექცია ჩატარდება არა ავტოკლავით, არამედ ქიმიური დეზინფექციის წესით (მაგ. ქლქორი, ქლოროფორმი და ა.შ.).

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური ნორმის მიხედვით, არ არის საჭირო ავტოკლავირებული ნარჩენების კონტროლი, შპს „ბიოლოგიკაში“ მაინც დაინერგა და ხორციელდება დეზინფექციის შიდა კონტროლის სისტემა, რაც ითვალისწინებს თითოეული პროცესის კონტროლს სპეციალური ISO სტანდარტით აღიარებული ინდიკატორების გამოყენებით.

2.6 ავტოკლავირების პროცესიდან მოსალოდნელი ემისიების აღწერა

ობიექტის ოპერირების 8 სთ რეჟიმიდან 24 სთ რეჟიმზე გადასვლა და სამუშაო დღეების რაოდენობის გაზრდა, არ ითვალისწინებს მიწის სამუშაოებს, შესაბამისად, ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედებას დგილი არ ექნება, რადგან ავტოკლავი უკვე დამონტაჟებულია.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ საქმიანობა მიმდინარეობს სამრეწველო ზონაში არსებულ დახურულ შენობაში. საწარმოს ტერიტორიაზე უკვე არსებობს ყველა კომუნიკაცია (მისასვლელი გზა, წყალსადენი სისტემა, ელექტროენერგია, საკანალიზაციო ჭა), რომელიც საჭიროა ობიექტის ოპერირებისთვის და დამატებითი კომუნიკაციების მოწყობა საჭიროებას არ წარმოადგენს.

ავტოკლავის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე (ავტოკლავირება მიმდინარეობს დახურულ სისტემაში), ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიებს ადგილი არ ექნება. გარდა ამისა, თავად ავტოკლავი, მტკნარი წყლის გამოხდის აპარატი და ასევე წყლის ორთქლის საქვაბე დანადგარი, მოიხმარს ელექტრო ენერგიას, შესაბამისად, ავტოკლავირების, წყლის დამუშავებისა და წყლის ორთქლის წარმოების პროცესში, ადგილი არ ექნება ნამწვი აირების ემისიებს, შესაბამისად, არც ობიექტის 8 სთ სამუშაო რეჟიმში ოპერირების პირობებში და არც 24 სთ რეჟიმზე გადასვლის პირობებში (მიუხედავად სამუშაო დღეების რაოდენობისა), ატმოსფერულ ჰაერში, მავნე ნივთიერებების გაფრქვევებს ადგილი არ ექნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

ავტოკლავის, საქვაბის და წყლის გამოსახდელი აპარატის მუშაობა ხმაურის წარმოქმნასთან დაკავშირებული არ არის. შესაბამისად ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ნეგატიური ზემოქმედების რისკები პრაქტიკულად არ არსებობს და შესაბამისად, არც ობიექტის 8 სთ სამუშაო რეჟიმში ოპერირების პირობებში და არც 24 სთ რეჟიმზე გადასვლის პირობებში (მიუხედავად სამუშაო დღეების რაოდენობისა), ხმაურის გავრცელებას ადგილი არ ექნება. საწარმოში ნარჩენების მიღება განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში.

ავტოკლავირების პროცესი დაკავშირებული არ არის საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნასთან. ავტოკლავში დასამუშავებლად ჩატვირთული ნარჩენები, სტერილიზაციას გადის გამოხდელი წყლის დუღილის შედეგად მიღებული ორთქლით, რომელიც დაკონდენსირდება, დამუშავდება (გამოხდა) და დაბრუნდება საქვაბე მოწყობილობაში.

ობიექტზე, ჩამდინარე წყალი შესაძლებელია წარმოიქმნას ავტოკლავის განთავსები ოთახის და შემოტანილი ნარჩენების კონტეინერების სველი წესით დამუშავების შემდეგ (მორეცხვა). ამ დროს წარმოქმნილი წყალი გროვდება საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილ სპეციალურ ჭაში.

ავტოკლავირების ოთახის და შემოტანილი ნარჩენების კონტეინერების დამუშავება გათვალისწინებულია ქლორირებული წყლით. ჭაში შეგროვილი წყლის დამუშავება ასევე

გათვალისწინებულია ქლორით და დამუშავების შემდეგ, ობიექტის ტერიტორიიდან გატანილი იქნება საასენიზაციო მანქანით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ავტოკლავირების ოთახის და კონტეინერების სველი მეთოდით დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის რაოდენობა, აღნიშნული ოთახის ფართობის და ობიექტის წარმადობის გათვალისწინებით, **ობიექტის ოპერირების 8 სთ რეჟიმიდან 24 სთ რეჟიმზე გადასვლის და სამუშაო დღეების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში 0,2 კუბ.მ/დღე-დან გაიზრდება მაქსიმუმ 0,3 კუბ.მ/დღე-მდე.** ოთახის და კონტეინერების სველი წესით დამუშავება კი გათვალისწინებულია ყოველდღიურად.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ავტოკლავის ოთახის ფართობი არ იცვლება და, შესაბამისად, უცვლელი რჩება დღის განმავლობაში, ავტოკლავის ოთახის მორეცხვაზე გამოყენებული წყლის რაოდენობა და შეადგენს დაახლოებით 0,1 კუბ.მ/დღე-ს, ანუ 100 ლიტრს, ხოლო კონტეინერების რეცხვაზე დღის განმავლობაში გამოყენებული იქნება დაახლოებით 0,2 კუბ.მ/დღე წყალი ანუ, 200 ლიტრი. **ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად, საწარმოს ეზოში მოწყობილია 1,5 კუბ.მ ტევადობის ჭა.**

რაც შეეხება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობას, აღნიშნული წყლების რაოდენობა დამოკიდებულია თანამშრომლების რაოდენობაზე. საწარმოს სამუშაო რეჟიმის შეცვლის პირობებში, თანამშრომლების რაოდენობა გაიზრდება 4 ადამიანიდან დაახლოებით 10 ადამიანამდე, მაგრამ, 2 ცვლიანი სამუშაო რეჟიმის პირობებში, დღის განმავლობაში ობიექტზე იქნება 6 ადამიანი. დღის საათებში ობიექტზე იქნება დაახლოებით 4 ადამიანი, ხოლო ღამის საათებში - 2 ადამიანი. შესაბამისად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის რაოდენობა $4 \times 0.45 = 1.8$ კუბ.მ/დღე-დან გაიზრდება მაქსიმუმ $6 \times 0.45 = 2.7$ კუბ.მ/დღე-მდე.

ობიექტის ოპერირება არ ითვალისწინებს ზედაპირულ წლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვებას.

ობიექტის ოპერირება ასევე არ ითვალისწინებს სტერილიზაციის მიზნით შემოტანილი ნარჩენების დახარისხებას და სხვა მანიპულაციების ჩატარებას. კონტეინერებში, სპეციალურ შეფუთვაში განთავსებული ნარჩენები, ამავე შეფუთვით ჩაითვირტება ავტოკლავში, ავტოკლავირებისთვის განკუთვნილი თერმომდეგი პოლიეთილენის საშუალებით. და ამავე შეფუთვით მოხდება მათი ობიექტიდან გატანა.

ობიექტის ოპერირების პროცესში, ადგილი ექნება მხოლოდ მცირე რაოდენობის მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნას, რომელთა რაოდენობა დამოკიდებული დასაქმებული ადამიანების რაოდენობაზე. დღეისათვის, ობიექტზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა შეადგენს 3-4 ადამიანს, **ობიექტის ოპერირების 8 სთ რეჟიმიდან 24 სთ რეჟიმზე გადასვლის და სამუშაო დღეების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, დასაქმებული ადამიანების რაოდენობა გაიზრდება და იქნება დაახლოებით 8-10 ადამიანი,** შესაბამისად, წლის განმავლობაში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა 3 კუბ.მ/წელ-დან გაიზრდება 7,5 კუბ.მ/წელ-მდე.

აღნიშნული ნარჩენები შეგროვდება მუნიციპალური ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერში და პერიოდულად, გატანილი იქნება ქ. რუსთავის დასუფთავების სამსახურის მიერ.

ავტოკლავირებისთვის განკუთვნილი დანადგარები არ წარმოადგენენ ხმაურწარმომქმნელ დანადგარებს, შესაბამისად, ობიექტის ოპერირება დაკავშირებული არ იქნება ხმაურის გავრცელებასთან.

იქიდან გამომდინარე, რომ ობიექტის ოპერირება არ არის დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედებასთან საწარმოს განთავსების ზონაში არსებულ სხვა სამრეწველო ობიექტებთან ერთად გარემოზე ერთ-ერთი კუმულაციური ზემოქმედების წყაროდ ვერ იქნება განხილული.

3 გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შედარებითი ანალიზი

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით სკრინინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროებას. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, სამინისტრო, იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს გადაწყვეტილებას იღებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ა) საქმიანობის მახასიათებლები:
 - ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;
 - ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
 - ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
 - ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;
 - ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;
 - ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:
 - ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
 - ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
 - ბ.გ) ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
 - ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;
 - ბ.ე) მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
 - ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;
- გ) საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:
 - გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
 - გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

მე-7 მუხლის მე-6 ნაწილში მოცემული კრიტერიუმების შედარებითი ანალიზი წარმოდგენილია ცხრილის სახით. (ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1. შედარებითი ანალიზი

N	კრიტერიუმები	გარემოზე ზემოქმედების რისკის არსებობა		შპს „ბიოლოგიკა“-ს სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (სამედიცინო ნარჩენების ავტოკლავირება) ობიექტის ექსპლუატაციით გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება
		დიახ	არა	
1. საქმიანობის მახასიათებლები				
1.1	საქმიანობის მასშტაბი		არა	საწარმოში განთავსებული ავტოკლავის პარამეტრების გათვალისწინებით, საწარმო არ განიხილება მასშტაბურ საწარმოდ.
1.2	არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		არა	ობიექტის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ატმოსფერულ ჰაერში ემისიებს, ხმაურის გავრცელებას, სამრეწველო ნარჩენების წარმოქმნას, ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვებას, შესაბამისად, საწარმოს ზონაში არსებულ ობიექტებთან, ან დაგეგმილ საქმიანობებთან ერთად, არ განიხილება კუმულაციური ზემოქმედების მქონე ობიექტად.
1.3	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება		არა	გამომდინარე იქედან, რომ ავტოკლავი უკვე მოწყობილია, მისი ოპერირების ხანგრძლიობის გაზრდა არ ითვალისწინებს დამატებითი ტერიტორიების ათვისებას. ნიადაგსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. რაც შეეხება გამოყენებული წყლის რაოდენობას, დღის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობა, რომელიც გამოიყენება როგორც საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ისე კონტეინერების და ავტოკლავირების ოთახის მოსარეცხად , 2,4 კუბ.მ/დღ-დან გაიზრდება მაქსიმუმ 3,2 კუბ.მ/დღ-მდე.
1.3	ნარჩენების წარმოქმნა		არა	ობიექტის ოპერირების ეტაპებზე ადგილი არ ექნება სამრეწველო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას, საწარმოს ოპერირების ეტაპზე, წლის განმავლობაში მოსალოდნელი მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა 3 კუბ.მ/წელ-დან გაიზრდება დაახლოებით 7,5 კუბ.მ/წელ-მდე.
1.4	გარემოს დაბინძურება და ხმაური		არა	ობიექტის ოპერირების ეტაპზე, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით და ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება
1.5	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		არა	ვინაიდან საქმიანობა არ ხასიათდება მასშტაბურობით, მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები არ არსებობს.
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:				
2.1	ჭარბტენიან ტერიტორიასთან		არა	საწარმოს ტერიტორია არ ესაზღვრება ჭარბტენიან ტერიტორიებს და, შესაბამისად, მათზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

2.2	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		არა	საწარმოს ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან არავითარ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.
2.3	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		არა	საწარმოს ტერიტორია არ შედის სატყეო ფონდის საზღვრებში და ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი მცენარეული საფარი და დაცულია ცხოველების შეღწევისგან.
2.4	დაცულ ტერიტორიებთან		არა	საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია (ზურმუხტის ქსელის უბანი „გარდაბანი“) მდებარეობს დაახლოებით 7000 კმ მანძილზე. აქედან გამომდინარე, დაცულ ტერიტორიაზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.
2.5	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან		არა	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან მანძილი 240 მეტრს. იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტის ოპერირება არ არის დაკავშირებული ემისიების და ხმაურის გავრცელებასთან, დასახლებულ პუნქტზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.
2.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		არა	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკები არ არსებობს.
3. საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:				
3.1	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		არა	საქმიანობა არ ატარებს ტრანს-სასაზღვრო ზემოქმედების ხასიათს.
3.2	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა		არა	საქმიანობა გარემოზე მაღალ ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

4 მოკლე რეზიუმე

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, საქმიანობის განხორციელების პროცესში გარემოზე ზემოქმედების რისკები მინიმალურია, კერძოდ, საწარმოს ექსპლუატაციის ფაზებზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების რისკები მოსალოდნელი არ არის. ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის გარემოს სხვა რეცეპტორებზე (ბიოლოგიური გარემო, ნიადაგი და გრუნტი, წყლის გარემო, გეოლოგიური გარემო).

გამომდინარე აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ შპს „ბიოლოგიკას“ საქმიანობა გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას არ მოახდენს.

5 დანართი 1 - ხელშეკრულება

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №6/05

01.05.2021

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკა“ შემდგომში “დამკვეთი”, მისი დირექტორის ედიშერ კვეციანიას სახით, მეორე მხრივ შპს „ბიოლოგიკა“ “ შემდგომში „შემსრულებელი“ მისი დირექტორის --- დავით მეგრელიძის სახით შევთანხმდით რა ხელშეკრულების ქვედა არსებით პირობაზე დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „დამკვეთმა“ განახორციელა ერთ პირთან („შემსრულებელი“) მოლაპარაკება, „დამკვეთის“ მიერ სამედიცინო დაწესებულებებში შეგროვილი სამედიცინო ნარჩენების შემდგომ გაუნებელყოფის სამუშაოების (ავტოკლავირების) ჩატარებაზე.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გულისხობს შემდეგს: „დამკვეთი“-ს მიერ სამედიცინო დაწესებულებაში შეგროვილი სამედიცინო არასარისკო და სარისკო ნარჩენების(გარდა ანატომიური, ქიმიური, რადიაციული და ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენებისა), მიწოდებას შპს „ბიოლოგიკისათვის“- შემდგომი ავტოკლავირებისთვის.

3.2. სამედიცინო ნარჩენების მიწოდება ხდება „დამკვეთის“ ტრანსპორტით.

4. მომსახურების გაწევის (მიწოდების, სამუშაოს შესრულების) პირობები

4.1. ვადები: სამედიცინო ნარჩენების მიწოდება კვირის სამუშაო დღეებში ორშაბათიდან კვირის ჩათვლით. (ყოველდღიური)

5. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორება;

5.2. მომსახურების ღირებულება 1კგ—0,75 თეთრი

5.3. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება იწარმოება თვეში ერთხელ „შემსრულებელი“-ს მიერ „დამკვეთი“-ზე შესრულებულ მომსახურებაზე ანგარიშ ფაქტურის წარდგენიდან არა უგვიანეს 15-სამუშაო დღეში. ანაზღაურების პირობების დარღვევის შემთხვევაში შპს „ექსპრესდიაგნოსტიკა“ უფლებას იტოვებს შეწყვიტოს მომსახურება ობიექტის გაფრთხილების გარეშე.

5.4 დამკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მოახდინოს ანგარიშსწორება წინააღმდეგ შემთხვევაში შპს „ბიოლოგიკა“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

6. მხარეთა ვალდებულება

6.1. „დამკვეთი“ ვალდებულია:

6.1.1. სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო სეპარაცია, შეგროვება, შენახვა და მიწოდება შპს „ბიოლოგიკისათვის“, რათა გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება.

6.1.2 „დამკვეთი“ ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ნარჩენების სეგრეგაციას. დაუშვებელია სხვადასხვა კატეგორიის ნარჩენების ერთმანეთთან შერევა. განსაკუთრებით საყურადღებოა მყარი, ბასრი და მჭრელი საგნები(განსაკუთრებული რისკი), რომლებიც უნდა შეგროვდეს ერთჯერადი მოხმარების ტარაში, რათა დაცული იყოს როგორც კლინიკის ასევე შპს „ბიოლოგიკის“ თანამშრომელთა უსაფრთხოება.

6.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

6.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ხარისხიან შესრულებაზე.

6.2.2 „შემსრულებელმა“ უნდა უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების ავტოკლავირება

6.2.3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ობიექტს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მომსახურების წლიური ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

7. მხარეთა უფლებები

7.1. „დამკვეთს“ უფლება აქვს:

7.1.1. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულება.

7.2. „შემსრულებელს“ უფლება აქვს:

7.2.1 მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების დროული და სრული დაფარვა წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მკორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. მხარეებს შორის ყველა სადაო საკითხი წყდება ურთიერთ მოლაპარაკების გზით.

10.2 მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება დაიდო 1 წლის ვადით--01.05.2022 წლამდე. ძალაშია ხელმოწერიდან მასში გათვალისწინებული პირობების სრულ შესრულებამდე.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით და იმავე პირობებით, თუ მასში არ მოხდება რაიმე ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა.

12. ხელშეკრულების საერთო პირობები

12.1. მხარეები აუნახლაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად მხარეებისთვის. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელი მოეწერება მხარეთა მიერ.

დამკვეთი

შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 203864522

მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის 27გ

ტელეფონი: 2106055; 599 513 269

მომსახურე ბანკი: ვითიბი ბანკი

ბანკის კოდი: UGEBGE22

ა/ა: GE43VT660000003393608

დირექტორი



შემსრულებელი

შპს „ბიოლოგიკა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 436031697

მისამართი: რუსთაველი.მარის არხის მესამე დასახლება

ტელეფონი: 599 459941

დირექტორი

